# ჩოხატაური

## ინვესტიცია სტუმართმოყვარე მუნიციპალიტეტში



## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

### საინვესტიციო პროფილი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

**Swiss Agency for Development
and Cooperation SDC**

With funding from
Austrian
Development
Cooperation

UNDP



საინვესტიციო პროფილი მომზადებულია პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი განვითარება“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2 (FRLD 2)” ფარგლებში, კონტრაქტორი ორგანიზაციის საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის (AYEG) და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს (LDA Georgia) მონაწილეობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემის შინაარსზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტი.

LDA GEORGIA

AYEG
საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

ჩოხატაური გურიის მხარის მუნიციპალიტეტია, რომელიც ცნობილია თავის სტუმართმოყვარეობით, ტრადიციებით, უნიკალური ფოლკლორით და სამზარეულოთი. აქ ცხოვრობს სხვადასხვა კვალიფიკაციის მშრომელი მოსახლეობა და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდობა. გამორჩეულია მუნიციპალიტეტის მდებარეობაც, რაც უზრუნველყოფს ინვესტორის ახლო წვდომას სარკინიგზო კვანძთან, ორ საზღვაო პორტთან, ორ საერთაშორისო აეროპორტთან და თავისუფალ ეკონომიკურ ზონებთან 50 კილომეტრის რადიუსში. უკანასკნელ წლებში ბიზნეს სექტორის დაინტერესება მუნიციპალიტეტით იზრდება და შესაბამისად მზარდია ეკონომიკური აქტივობა, 2014 წლიდან 2019 წლამდე გაიხსნა 261 ახალი საწარმო. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი უპირატესობა მისი საკურორტო და მისთვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პოტენციალია. მუნიციპალიტეტი თხილის მოსაყვანად კარგი ბუნებრივი პირობებით ხასიათდება, აქ წარმოებულ პროდუქციას მნიშვნელოვანი წილი უკავია საქართველოს ბაზარზე. გამორჩეულია ადგილობრივი ჩაის ხარისხი, რომელსაც მდიდარი ისტორია და პოტენციალი გააჩნია. წარმატებულია მუნიციპალიტეტის ენდემური ჯიშებით წარმოებული ღვინო, რომელმაც მაღალი აღიარება მოიპოვა როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ. მდიდარი ტრადიცია აქვს მესიმინდეობას და მზარდი ტემპებით ვითარდება მეფუტკრეობა. აღნიშნული პერსპექტიული დარგები წარმატებული ინვესტიციის კარგ საფუძვლებს ქმნის. ტურისტული პოტენციალის კუთხით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტყით მდიდარი მთაგორიანი რელიეფი მრავალი წყაროთი და მდინარით, ცნობილი და ასათვისებელი მტკნარი, მინერალური და ბალნეოლოგიური წყლებით და ღირსშესანიშნაობებით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში და მის გარეთ მუნიციპალიტეტის ბრენდად ქცეული გამაჯანსაღებელი კურორტი ბახმარო, რომლის ისტორია 100 წელზე მეტს ითვლის, ხოლო მისი უნიკალური მდებარეობა რესპირატორული დაავადებების სამკურნალოდ საჭირო მიკროკლიმატს ქმნის. ბოლო წლებია აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები, რათა ბახმარო ოთხივე სეზონის კურორტი გახდეს და მას დაემატოს სამთო-სათხილამურო კურორტის ფუნქცია. კერძო ინვესტორის მხრიდან დაგეგმილია 100 მილიონიანი ინვესტიციის განხორციელება სასტუმრო კომპლექსების მშენებლობაში. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ზრდის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს, რაც ამ სფეროში დამატებით ახალი ინვესტიციების გაჩენის წინაპირობაა. მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყის რესურსით, რასაც მთლიანი ტერიტორიის 65% უკავია.



ქვეყანა სარგებლობს უვიზო მიმოსვლით და თავისუფალი ვაჭრობით ევროკავშირის და სხვა მრავალ ქვეყნებთან, რაც საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა, კორუფციისაგან თავისუფალი გარემო, ნაკლებად შემზღუდველი ადგილობრივი რეგულაციები და კერძო სექტორისა და ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობა, რაც მათი საჭიროებების მიმართ ყურადღებასა და თანადგომაში გამოიხატება. მუნიციპალიტეტმა ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში შეიმუშავა 2018 – 2020 წლების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც მოწონებული გახდა ევროკავშირის სამდივნოს და მსოფლიო ბანკის მიერ, შედეგად მუნიციპალიტეტი გახდა ამ ინიციატივის მოქმედი წევრი. მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს 2020 – 2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომელიც განვითარების პრიორიტეტებს და შესაბამის ქმედებებს ასახავს. გეგმა დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. მუნიციპალიტეტს ყავს დამეგობრებული ქალაქები, როგორიცაა ლიეტუვას ქალაქი პასვალისი (2009 წლიდან) და პოლონეთის ქალაქი ლეჟაისკი (2010 წლიდან).

**ირაკლი კუჭავა**

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი**

# ინვესტიციების განხორციელების 8 ძირითადი გარემოება

## რატომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ?

1 მდიდარი მინერალური, მტკნარი წყლებისა და ტყის რესურსით;

2 საკურორტო ადგილების მრავალფეროვნება, მთისა და ზღვის კურორტებთან სიახლოვე;

3 მუნიციპალიტეტის სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ფოთის და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან და ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;

4 არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ასათვისებელი რესურსი;

5 კვალიფიციური და მონდომებული ადამიანური რესურსი;

6 მეღვინეობის, მეფუტკრეობის, მეჩაიეობისა და მეთხილეობის ტრადიციული დარგები და მათი განვითარების პოტენციალი;

7 ზომიერი კლიმატური გარემო რომელიც კომფორტულ პირობებს ქმნის ბიზნეს საქმიანობისათვის;

8 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი მუნიციპალიტეტი.



# ისტორია და მდიდარი ტრადიციები

- XVII-XVIII საუკუნე - გურიის ერისთავთა რეზიდენცია;

- სოფელი გორაბერეჟოული - შემორჩენილია სასახლე, გალავანი და სასახლის ტერიტორიაზე მიხეილ ერისთავის მიერ გაშენებული უნიკალურ მცენარეთა ბაღი-ხეხილით, წიწვოვანი და ფოთლოვანი ხის უნიკალური ჯიშებით;

- 1964 წელი - აღმოჩენილ იქნა მეზოლითური ნამოსახლარი, ბრინჯაოს ბარი, სპილენძის ზოდები, სპილენძის ქვაბი და სხვა,რაც ადასტურებს სამეწარმეო - სავაჭრო საქმიანობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას;

განთქმული სპორტსმენები - ცხენოსნობაში, ლელობურთში და ადგილობრივი სპორტის სხვა სახეობებში;

1892 წელი - გურული მოჯირითეების წარმატების ისტორია. ინგლისში შეუერთდნენ ბუფალო ბილ ქოუდის ველურ დასავლეთის შოუს;

30 წელზე მეტ ხანს გამოდიოდნენ ბუფალო ბილისა და სხვა საერთაშორისო ცირკებისა და შოუების არენებზე;



# ადგილმდებარეობა და ბაზარზე წვდომა

რეგიონის ცენტრიდან (ოზურგეთი) მხოლოდ 28 კმ.-ით არის დაშორებული

მაგისტრალი - სამტრედია 32 კმ.

დედაქალაქი - თბილისი 296 კმ.

რკინიგზა - საჯავახო 20 კმ.
შესაძლებელია სამგზავრო გადაყვანის და სატვირთო გადაზიდვის მომსახურების მიღება;

აეროპორტი - ქუთაისი 35კმ; ბათუმი 80 კმ

**მსხვილი სავაჭრო ბაზრები:**
ქუთაისი 60 კმ;
ბათუმი 80კმ
ფოთის პორტი 70 კმ.
ბათუმის პორტი 80 კმ.

## ადგილმდებარეობის უპირატესობები

მნიშვნელოვან ობიექტებთან სიახლოვე ინვესტირებას კიდევ უფრო მეტად პერსპექტიულს ხდის;

მუნიციპალიტეტის სიახლოვე ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ფოთის და ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან და ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან;

მთისა და ზღვის კურორტებთან სიახლოვე ტურისტულ ბაზრებზე მაღალი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას იძლევა





## მუნიციპალიტეტის ზოგადი მახასიათებლები

მასპინძლობითა და აქტიურობით
გამორჩეული მოსახლეობა

მოსახლეობის რაოდენობა **18,300** კაცი

სამუშაო ძალა (15-დან 65 წლამდე) **62,3%**

ქალი - **52%**
კაცი - **48%**
ახალგაზრდები - **16%**

## მუნიციპალიტეტის რუკა




ფართობი - **825** კვ.მ

## გეოგრაფია და კლიმატი

- ზომიერი კლიმატური გარემო, რომელიც კომფორტულ პირობებს ქმნის ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელია სუბტროპიკული კლიმატი;
- ჰავა ხასიათდება სიმაღლებრივი ზონალურობით;
- ბარში 500-600 მეტრამდე ზღვის სუბტროპიკული ჰავა;
- მთებში ნოტიო, მაგრამ ზომიერად თბილი და გრილი;
- საშუალო წლიური ტემპერატურა - 12°C, მაღალ მთაში - 0-4°C.
- წელიწადში საშუალოდ 1.500-1.870 მმ ნალექი მოდის.
- მდგრადი თოვლის საფარი მთაში 5-6 თვეს გრძელდება.

## განათლება

პროფესიული განათლების ხელშეწყობა არის ერთ-ერთი პრიორიტეტი;

მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლის 2 კორპუსის მშენებლობა

## ჯანდაცვა

ხელმისაწვდომია სამედიცინო სერვისები როგორც ქალაქში ისე სასოფლო დასახლებებში, შესაბამისი ხარისხითა და ტექნოლოგიით

ფუნქციონირებს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი და სამი კლინიკა 19 ამბულატორია;

მუნიციპალიტეტს ემსახურება 3 სასწრაფო დახმარების მანქანა, მიმდინარე წელს დაემატა მეოთხე მანქანა სეზონურად დაბა ბახმაროში.

## ინფრასტრუქტურა

- პერსპექტიულია მუნიციპალიტეტის ჰიდროენერგეტიკული რესურსი, რასაც მთის ჩქარი მდინარეები ქმნიან;
- სოფელ ხევში მცირე ჰესი „ნაბეღლავჰესი“ გამოიმუშავებს 2 მგ/ვატ ელექტროენერგიას;
- სოფელ მეწიეთში „საშუალა ჰესი“ გამოიმუშავებს 12 5 მგ/ვატ ენერგიას;
- მშენებლობის პროცესშია „ზოტი ჰესი“ სიმძლავრით 45 მგ/ვატ.
- დაბაში სრულად მოასფალტებულია გზები;
- უზრუნველყოფილია წყლით, გაზით და ელექტროენერგიით;
- ყველა სოფელს აქვს ელექტროენერგია;
- უმეტესი ნაწილი უზრუნველყოფილია წყლისა და გაზის მიწოდებით;
- სოფლების უმეტესობაში გზები რეაბილიტირებულია;
- დაბა ჩოხატაურსა და ახლო მდებარე სოფლებს მიეწოდება მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი;

## მიწის აქტივი და გამოყენების პოტენციალი

- მიწის მთლიანი ფართობის ნახევარზე მეტი საჯარო საკუთრებაშია და საინვესტიციო შესაძლებლობებს ქმნის;
- სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 16% გამოიყენება სახნავად და 23% მრავალწლიანი ნარგავებისათვის;
- მიწის რესურსი თავისუფალია როგორც მსხვილი პირველადი წარმოების მეურნეობის მოსაწყობად ისე გადამამუშავებელი საწარმოებისათვის;

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ძირითადი ნედლეულია - სიმინდი, თხილი, ვაზი, ჩაი, ხეხილი, ერთწლიანი კულტურები.

- განვითარების აუთვისებელი შესაძლებლობები დარგებში - მეფუტკრეობა და მეთევზეობა;

მუნიციპალიტეტის მდინარეები პერსპექტიულია თევზსაშენი მეურნეობის განვითარებისათვის;

გვხვდება მრავალფეროვანი თაფლოვანი მცენარეები;

განსაკუთრებული ნიშის დაკავების შესაძლებლობა მეღვინეობის სექტორში:

ენდემური ვაზის ჯიშები (ჩხავერი, ჯანი, სხილათობანი, ცოლიკაური, ალადასტური და სხვა);

10-მდე მარანი;





## არსებული წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტი მდიდარია ასათვისებელი წიაღისეულითა და ბუნებრივი რესურსით;

- სოფელ ვანის ტერიტორიაზე მოსაპირკეთებელი ქვები;
- სანისლიაში მოედინება სამკურნალო თბილი წყლები და ბალნეოლოგიური წყლები;
- სოფელ ბუკნარში - გოგირდოვანი წყლები;
- სოფელ შუაგანახლებაში - ლაშეს აბანოები.
- სოფელ დიდ ვანში - სულფიდური ტიპის მინერალური წყალი;
- სოფელ ზემოსურებში - ნახშირმჟავას ტიპის მინერალური წყალი.

წიაღისეული შესასწავლია და მარაგების მოცულობა დასადგენი

- [x] ორი საკურორტო ზონა ბახმარო და ნაბეღლავი:
  მოიპოვება მინერალური და მტკნარი წყლები.

# ჩოხატაურის ტურისტული პოტენციალი

- ბახმარო - მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი ჩამოაყალიბოს ოთხ სეზონიან კურორტად;

სამთხო-სათხილამურო ტურიზმის პოტენციალი;

გაზრდილი ინვესტიციების ტენდენცია სასტუმრო ბიზნესში;

## ბახმარო

გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის საუკუნოვანი მარად მწვანე მცენარეებით;
ულამაზესი ალპური ზონა;
კურორტი მასპინძლობს, ვიზიტორებს, როგორც ზაფხულში ასევე ზამთრის სეზონზეც.
ვიზიტორთა რიცხვი: ზაფხულის პერიოდში - დაახლოებით 16 000 ადამიანი,
ზამთრის სეზონზე - 1 800.




## ნაბეღლავი

გუბაზეულის ხეობის ულამაზესი ბალნეოლოგიური კურორტი;
ზღვის დონიდან 470 მეტრის სიმაღლეზე;
წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის მასივში,
მთის სწრაფი და ანკარა მდინარის გუბაზეულის სანაპიროზე.
უნიკალური კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობებით, ძვირფასი მინერალური სამკურნალო წყლებით.
გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.



- გორაბერეჟოულის XVII-XVIII საუკუნის დენდროლოგიური ტყე-პარკი;

- სოფელ გორაბერეჟოულში ერისთავების სასახლე:

აღდგა ერისთავების ისტორიული სასახლე და ციხე-გალავანი; ქვაფენილებით მოწყობილია სასახლის ეზო და კეთილმოწყობილია გარემო.

# დაბალი და სამართლიანი გადასახადები

- რეინვესტირებაზე ორიენტირებული მოგების გადასახადი -  0% ან 15%;
- საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- დამატებული ღირებულების გადასახადი -18%;
- ქონების გადასახადი - 1%;
- იმპორტის გადასახადი - 0%, 5% ან 12% ;
- დივიდენდი – 5%.
- საპენსიო შენატანი - 6% (2% დამსაქმებელი, 2% დასაქმებული, 2% სახელმწიფო)
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებები 55 ქვეყანასთან

| მოსაკრებელი/გადასახადი | ოდენობა |
|---|---|
| ელექტროენერგია | 21,08306 თეთრი კვტ/სთ |
| წყალმომარაგება | 4,31 ლ/ტ. |
| ნარჩენების მართვის მოსაკრებელი | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 0,25ლარი/1 მოსახლე;<br>დაბა ბახმაროს ტერიტორიაზე - 5ლარი/1 მოსარგებლე. |
| მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული მოსაკრებელი | ახალასაშენებელი ობიექტის ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის - 4 ლარი,<br>საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 ლარი. |
| მიწაზე ქონების გადასახადი | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (1ჰა.):<br>ბახმარო - 0 36 ლ. დაბა ჩოხატაური - 0 24 ლ.<br>სოფელი - 0 19 ლ.<br>სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა (1ჰა). :<br>სახნავი - 60 ლ; სათიბი - 19 ლ; საძოვარი - 17ლ. |

## უძრავი ქონების ბაზარი

უძრავი ქონების ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე დაბალი ფასები



| კატეგორიები | დაბა ჩოხატაური | დაბა ბახმარო | სოფლები |
|---|---|---|---|
| სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი 1 კვ. მ | 6 ლ. | | 3 ლ. |
| სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა 1 ჰა.( 1წელი) | 400 ლ. | 150 ლ. | 350 ლ. |
| არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი 1კვ.მ | 250 ლ. | 500 ლ. | 6 ლ./ჰა |
| არასასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა 1 კვ.მ (1 წელი) | 12 ლ. | 120 ლ. | 70 ლ. |
| შენობის ფასი 1 კვ.მ | 300 ლ. | 1800 ლ. | 100 ლ. |
| შენობის ქირის ფასი 1 კვ. მ (1 თვე) | 40 ლ. | 80 ლ. | 20 ლ. |

## ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ

ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 756 ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲐᲓ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲣᲚ ᲗᲮᲘᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲣᲙᲐᲕᲘᲐ

მუნიციპალიტეტში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა:

- მცირე და საშუალო ზომის ფერმერები მემარცვლეობის (სიმინდის მოყვანა), მევენახეობის, მეფუტკრეობისა და მეცხოველეობის მიმართულებით.
- მრავალწლოვანი კულტურების (ხეხილოვანი კულტურები, ციტრუსი, ჩაი, კენკრა) მწარმოებელი მეურნეობები.

სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი" (მინერალური წყლის „ნაბეღლავის" ჩამოსასხმელი ქარხანა) და ხილის გადამამუშავებელი საამქრო „ნენა“ (მურაბების, ჯემების, ხილფაფების წარმოება);

ქვიშა-ხრეშის მომპოვებელი კარიერები და გადამამუშავებელი საწარმოები;

საცალო ვაჭრობის ობიექტები, საბანკო და სხვა სერვისები, საკვები ობიექტები და საოჯახო ტიპის სასტუმროები;

მცირე და საშუალო ზომის ჰესები.

## ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘ ᲛᲡᲮᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ;

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ 2 ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ;

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐᲑᲐ ᲙᲣᲠᲝᲠᲢ ᲑᲐᲮᲛᲐᲠᲝᲨᲘ სასტუმრო ნომრების ფონდი კი 120-დან 800 ნომრამდე გაიზრდება

# მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებებში ბიზნესის კეთების უპირატესობები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 3 სოფელი და დაბა ბახმარო სარგებლობს საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ" განსაზღვრული მაღალმთიანი სტატუსით და დაწესებული შეღავათებით

- მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე ბიზნეს ორგანიზაციებს შეღავათები აქვთ მოგების, ქონების, საშემოსავლო გადასახადებზე.

| გადასახადის სახე | შეღავათი |
|---|---|
| საშემოსავლო გადასახადი | ფიზიკური პირი 6000 ლარამდე გათავისუფლებულია |
| მოგების გადასახადი | გათავისუფლებულია 10 წლით |
| ქონების გადასახადი | სრულად გათავისუფლებულია |



## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო

- საინვესტიციო საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ჩარჩო;
- ლიცენზიებისა და ნებართვების მიღების მარტივი პროცედურები;
- ქონების რეგისტრაციისა და განკარგვის მოხერხებული პირობები;
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებასთან დაკავშირებული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა;
- ხელშემწყობი მუნიციპალიტეტის ხელისუფლება და თანამშრომლობის ფორმების სიმარტივე.

## დაბალი დანახარჯები ბიზნესისთვის

- ადვილად ადმინისტრირებადი საგადასახადო სისტემა და დავების მოგვარების მოქნილი სტრუქტურა;
- ბიზნესის დაწყების სიმარტივე;
- თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან სიახლოვე და ლოჯისტიკის დაბალი დანახარჯები;
- უძრავი ქონების ხელსაყრელი ფასები







# განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

## მზარდი ინვესტიციები და შესაძლებლობები

სააქციო საზოგადოება "წყალი მარგებელი" (მინერალური წყლის „ნაბეღლავის" ჩამოსასხმელი ქარხანა):

- დასაქმებულია 100 მდე ადამიანი;
- დასაქმებულთა 98% ადგილობრივია;
- 2017 წლიდან ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ერთ-ერთ უმსხვილეს მწარმოებელ კომპანია „რაუხთან" ერთობლივი წარმოება დაიწყო;
- 2017 წელს ახალი, მრავალპროფილური უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გაიხსნა;
- წარმოების გაფართოებისთვის განხორციელდა 55 მლნ ლარის ინვესტიცია;
- მას მსოფლიოს 30-მდე ქვეყანაში შეხვდებით, მათ შორის: ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნებში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.
- 2017 წელს "დანერგე მომავალის" ბაღების კომპონენტში დაფინანსდა 3 პროექტი: ლურჯი მოცვი 5 ჰა. 62 000 ლარით; თხილი 2 ჰა. 1 000 ლარით; ვაშლი და მსხალი შერეული 3 ჰა. 3 000 ლარით;
- 2019 წელს 14-მა ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღო "დანერგე მომავალის" ქვეკომპონენტის კენკროვნების (ლურჯი მოცვი, ჟოლო, უეკლო მაყვალი) პროგრამაში; განხორციელდება 4,8 ჰა. და 1 ჰა. ბაღების გაშენება. სახელმწიფო დაფინანსება შეადგენს 34 000 ლარს;

ხილის გადამამუშავებელი საწარმო „ნენა" (2.5 მლნ. ლარის ინვესტიცია):

- 30-მდე სახეობის მურაბა, ჯემი, კომპოტი და საწებელი იწარმოება;
- გადის ექსპორტზე ჩინეთში, ჩეხეთსა და რუსეთში.

პროექტი „დანერგე მომავალი" ხელს უწყობს კენკროვანი კულტურების, თხილისა და ხილის ბაღების გაშენებას;

შედეგად, ბოლო წლების განმავლობაში იზრდება კულტურების მოსაყვანად გამოყენებული ფართობების რაოდენობა;



## განხორციელებული ინვესტიციები და სახელმწიფო მხარდაჭერა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2015-1018 წლებში "აწარმოე საქართველოს" ფარგლებში მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის სტატისტიკა:

დაფინანსებული პროექტების რაოდენობა - 65

ჯამური ინვესტიცია - 639 449 ლარი

გრანტის სახით გაცემული თანხა - 465 640 ლარი

პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილები - 220

ENPARD საქართველოში:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში დაფინანსებული პროექტების რაოდენობა - 6

ჯამური ინვესტიცია - 408 921 ლარი

პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ადგილები - 20



## სახელმწიფო სერვისები ბიზნესისთვის

### ბიზნესისთვის საჭირო სახელმწიფო და სხვა სერვისები ხელმისაწვდომია ადგილზე

- **ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურები**

  მიმართვის შესაძლებლობა წერილობით და პირისპირ ფორმით;

  პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაცია და სხვა.

- **იუსტიციის სახლი**

  ერთი ფანჯრის პრინციპით სახელმწიფო სერვისების მიღება;

  ბიზნესის რეგისტრაცია, უძრავი ქონების რეგისტრაცია, საპრივატიზაციო პროცედურების გავლა და სხვა.;

- **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური**

  ხელშემწყობი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება;

  კონსულტაცია;



## თანამშრომლობა ბიზნესთან



- მერიის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- მხარდაჭერა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად;
- საპროექტო წინადადებების მომზადებაში ხელშეწყობა;
- საინვესტიციო ფორუმებში ჩართულობა;







# ბიზნეს მხარდამჭერი სახელმწიფო შესაძლებლობები

ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, ინვესტიციებსა და ექსპორტს

## აწარმოე საქართველოში

ინდუსტრიული მიმართულება;
სასტუმრო ინდუსტრია;
მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა;
გადაიღე საქართველოში;
საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი;
ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია;
ტურისტული სერვისების ინდუსტრია;

## საპარტნიორო ფონდი

მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და ხელშეწყობაზე;
კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება და ტურიზმი

## სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

შეღავათიანი აგრო კრედიტი და აგრო დაზღვევა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება;
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ხელშეწყობა;
ბაღებისა და სანერგე მეურნეობების მოწყობის მხარდაჭერა და სხვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობის გააქტიურების სტიმულები.

## საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

ინოვაციების შექმნის მხარდაჭერა ქვეყნის სწრაფი განვითარებისათვის;
ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები;
ფაბლაბები - მაღალტექნოლოგიურიდანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც გთავაზობთ ციფრულფაბრიკაციას.
ბიზნეს ინკუბატორი, IT ტრენინგები, ინოვაციური ბანაკი, სტარტაპ საქართველო და სხვა წარმატებული პროექტები.



## საქართველოში ინვესტირების უპირატესობა

ქვეყანა, სადაც ევროპა ხვდება აზიას;

წვდომა 2,3 მილიარდიან ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA;

მე-7 ადგილი ბიზნესის კეთების რეიტინგში - პირველი ევროპის ქვეყნებიდან;

მე-6 ადგილი უსაფრთხო ქვეყნების სიაში;

სამუშაო ძალისა და კომუნიკაციების დაბალი დანახარჯები;

მარტივი და დაბალი საგადასახადო ტვირთი სახელმწიფო შეღავათებითა და ბიზნესის წახალისების ინსტრუმენტებით;

ქონების გადასახადი - არ აღემატება 1%-ს;

ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებები ხელმოწერილია 33 ქვეყანასთან, ქვეყანა 1992 წლიდან წევრია ICSID შეთანხმების;

წვდომა 2,3 მილიარდიან ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო გადასახადების გარეშე;

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და DCFTA.

# ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲞᲝᲢᲔᲜᲪᲘᲐᲚᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ

ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ, ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ.

ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲓ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲐ.



ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28,01,21,049
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი სამშობიაროს შენობა

ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔ
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ -3 848 ᲙᲕ.Მ
ᲨᲔᲜᲝᲑᲐ-ᲜᲐᲒᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘ - 2 264 ᲙᲕ.Მ

ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲐ
შესაძლებელია სასტუმრო, საავადმყოფო და საოფისე ფართად გამოყენება;

# საინვესტიციო პოტენციალის მქონე ქონება



მდებარეობა

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28.01.22.070
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ყოფილი სახანძროს შენობა

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მიწის ფართობი - 4 045 კვ.მ
შენობა-ნაგებობის ფართობი - 891 კვ.მ

დანიშნულება

შესაძლებელია სასტუმრო, საავადმყოფო და საოფისე ფართად გამოყენება;

# საინვესტიციო პოტენციალის მქონე ქონება



## მდებარეობა

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28.01.22.266
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპორტული კომპლექსი (აუზი).

მიწის ფართობი - 5 828 კვ.მ
შენობა-ნაგებობების ფართობი:

- N1 საერთო ფართი - 1 994 კვ.მ
- N2 საერთო ფართი - 573 კვ.მ

## დანიშნულება

ობიექტი მდებარეობს სივრცეში, სადაც განთავსებულია სპორტული დარბაზი და დაბის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი, რისი განხილვაც შესაძლებელია ერთიან სპორტულ კომპლექსად.

# საინვესტიციო პოტენციალის მქონე ქონება



მდებარეობა

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28.24.21.399

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კინოთეატრის შენობა
დაბა ბახმარო

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მიწის ფართობი - 2 816 კვ.მ
შენობა-ნაგებობების ფართობი - 645 კვ.მ

# საინვესტიციო პოტენციალის მქონე ქონება



მდებარეობა

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28.24.21.400
შენობა-ნაგებობა დაბა ბახმაროში

მიწის ფართობი - 1 556 კვ.მ
შენობა-ნაგებობების ფართობი - 615 კვ.მ

მესაკუთრე:

შპს. "აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"

დანიშნულება

შესაძლებელია სავაჭრო და კვების ობიექტად, სამედიცინო პუნქტად, ან საოფისე ფართად გამოყენება;

# საინვესტიციო პოტენციალის მქონე ქონება



მდებარეობა

ობიექტი მდებარეობს დასახლებულ პუნქტში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, სადაც ხელმისაწვდომია ყველა კომუნიკაცია - გზა, წყალი, ბუნებრივი აირი, ელექტრო ენერგია

საკადასტრო კოდი 28.01.22.009

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყოფილი საგრენაჟო ქარხანა

მესაკუთრე

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მიწის ფართობი - 4 955 კვ.მ

საგრენაჟო ქარხნის ფართობი - 1 246,2 კვ.მ

ადმინისტრაციული შენობის ფართობი - 277,9 კვ.მ

დანიშნულება

შესაძლებელია სასტუმრო და საწარმოო ფართად გამოყენება;

# დამატებითი ინფორმაცია:

საინვესტიციო გარემო და შესაძლებლობები საქართველოში (2019):
http://ww  .enterprisegeorgia.gov.ge/uploads/files/publicacationsadb10264501-1-PRIN  -Master-2019-small.pdf

## სასარგებლო ბმულები

| | |
|---|---|
| **InvestIn Georgia** | www.investingeorgia.org |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | www.economy.ge |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | www.mof.ge |
| გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | www.mepa.gov.ge |
| საქართველოს რეგიოგნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრი | www.mrdi.gov.ge |
| საპარტნიორო ფონდი | www.fund.ge |



### საინფორმაციო წყაროები

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კონტაქტი:
www.chokhatauri.gov.ge
მის: ჩოხატაური, წერეთლის ქუჩა N2
contact@chokhatauri.gov.ge
sakrebulo@chokhatauri.gov.ge